საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-854

ქ. თბილისი

11/06/2021

შპს „ჯეო პლოიმერის“ ქალაქ თბილისში ნარჩენების აღდგენის-პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 5 მაისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ჯეო პლოიმერისა“ და შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტის“ დირექტორმა. შპს „ჯეო პლოიმერმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2018 წლის 28 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-520 ბრძანება „შპს „ჯეო პლოიმერის“ ქალაქ თბილისში ნარჩენების აღდგენის-პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჯეო პლოიმერის“ ქალაქ თბილისში ნარჩენების აღდგენის-პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის №2-520 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტს“;

2. შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის №2-520 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჯეო პლოიმერსა“ და შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეო პლოიმერისა“ და შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი